ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4185884

ნომერი: AR1631655

თარიღი : 18.09.2018

გაცემის თარიღი : 25.09.2018

გაცნობის თარიღი : 25.09.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კედია , (ყოფ. კახოვსკი) , N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ოთარ დიხამინჯია პ/ნ 01024006186
- თბილისი პეკინის გამზ. N 45 ბ. 31

ორგანიზაცია:
- შპს კედიას 10 კოდი: 405074672

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2018 წლის 18 სექტემბრის №AR1631655 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 18 სექტემბერს №AR1631655 განცხადებით მომართა ოთარ დიხამინჯიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 20 იანვარის №3040124 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 იანვარის №3040124 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, კედიას ქუჩა, (ყოფ. კახოვსკი), №10, შპს "კედიას 10"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.06.008.074), მრავალფუნქციური კომპლექსის საცხოვრებელი IVა და IVბ ბლოკების არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 20 იანვრიდან 2020 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3220962 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 იანვრის №3040124 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 4548 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 1265.7 კვ.მ, საერთო ფართობად 7098.1 კვ.მ.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 20 იანვარის №3040124 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 20 იანვარის №3040124 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ, საზაფხულო ფართობად 1122.8 კვ.მ-ის ნაცვლად 1265.7 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 6955.0 კვ.მ-ის ნაცვლად 7097.9 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

ვინაიდან, სამსახურის 2017 წლის 24 აპრილის №3220962 ბრძანებით უკვე გასწორებულია ტექნიკური შეცდომა საზაფხულო და საერთო ფართობთან დაკავშირებით, (საზაფხულო ფართობად დაფიქსირებულია 1265.7 კვ.მ; საერთო ფართობად 7098.1 კვ.მ.), აღნიშნულიდან გამომდინარე გაურკვეველია თქვენი მოთხოვნა იგივე ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.

იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება საჭიროა დააზუსტოთ მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაავალოს განმცხადებელს 05 (ხუთი-) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაზუსტდეს მოთხოვნის ტექსტი, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით. მოთხოვნის დასაზუსტებლად და განახლებული დოკუმენტაციის წარმოსადგენად სამსახური განგისაზღვრავთ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადას.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2018 წლის 18 სექტემბრის №AR1631655 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.